

## აუდიტის სამოთამორისო სტანდარტი 510

### პირველი აუდიტორული გარიგება - საჭყისი ნაშთები

(ძალაშია 2009 წლის 15 დეკემბერს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების  
ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის)

#### შინაარსი

პუნქტები

#### შესავალი

წინამდებარე ასს-ის მოქმედების სფერო .....	1
ძალაში შესვლის თარიღი .....	2
მიზანი .....	3
განმარტებები .....	4
<b>მოთხოვნები</b>	
აუდიტორული პროცედურები .....	5-9
აუდიტის პროცესში გამოტანილი დასკვნები და აუდიტორის დასკვნის მომზადება .....	10-13
<b>გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა</b>	
აუდიტორული პროცედურები .....	გ1-გ7
აუდიტორული დასკვნები და აუდიტორის დასკვნის მომზადება .....	გ8-გ9
<b>დანართი: მოდიფიცირებული მოსაზრების შემცველი აუდიტორების დასკვნების ნიმუშები</b>	

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 510 - „პირველი აუდიტორული გარიგება - საწყისი ნაშთები“- განხილულ უნდა იქნეს ასს 200-თან - „დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“ - ერთად.

## შესავალი

### წინამდებარე ასს-ის მოქმედების სფერო

1. წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) ეხება პირველ აუდიტორულ გარიგებაში აუდიტორის პასუხისმგებლობას საწყის ნაშთებზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების გარდა, საწყისი ნაშთები მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებულ გარკვეულ საკითხებს, რომელთა გამჟღავნებაც მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, როგორიცაა, მაგალითად პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები. როდესაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შესაძარის ფინანსურ ინფორმაციასაც, აუდიტორი ასევე იყენებს ასს 710-ის<sup>1</sup> მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს. ასს 300<sup>2</sup> მოიცავს დამატებით მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს, პირველი აუდიტის დაწყებამდე ჩასატარებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.

### ძალაში შესვლის თარიღი

2. წინამდებარე ასს ძალაში შედის 2009 წლის 15 დეკემბერს ან მის შემდეგ დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის.

### მიზანი

3. პირველ აუდიტორულ გარიგებაში საწყის ნაშთებთან დაკავშირებით აუდიტორის მიზანია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის შესახებ:
  - ა) შეიცავს თუ არა საწყისი ნაშთები ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე; და
  - ბ) საწყის ნაშთებში განსახიერებული სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად გამოიყენება თუ არა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაშიც, ან სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები სათანადოდ არის თუ არა გათვალისწინებული, წარდგენილი და გამჟღავნებული განმარტებით

---

1. ასს 710 - „შესაძარისი ინფორმაცია - შესაბამისი ციფრები და შესაძარისი ფინანსური ანგარიშგება“.

2. ასს 300 - „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა“.

შენიშვნებში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

## განმარტებები

4. ასს-ების მიზნებისთვის ქვემოთ განხილულ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - a) პირველი აუდიტორული გარიგება - გარიგება, რომლის დროსაც ან:
    - (i) წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა; ან
    - (ii) წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული ჰქონდა წინამორბედ აუდიტორს.
  - b) საწყისი ნაშთები - იმ ანგარიშების ნაშთები, რომლებიც არსებობდა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში. საწყისი ნაშთები ეყრდნობა წინა პერიოდის საბოლოო ნაშთებს და ასახავს წინა პერიოდების სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების და წინა პერიოდში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შედეგებს. საწყისი ნაშთები ასევე მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებულ ისეთ საკითხებს, რომელთა გამჟღავნებაც მოითხოვება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, როგორიცაა, მაგალითად პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები.
  - c) წინამორბედი აუდიტორი - სხვა აუდიტური ფირმის აუდიტორი, რომელმაც ჩაატარა სამეურნეო სუბიექტის წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და რომელიც შეცვალა ამჟამინდელმა აუდიტორმა.

## მოთხოვნები

### აუდიტორული პროცედურები

#### საწყისი ნაშთები

5. აუდიტორი უნდა გაეცნოს ბოლო ფინანსურ ანგარიშგებას (თუ ასეთი არსებობს) და მის შესახებ წინამორბედი აუდიტორის მიერ მომზადებულ დასკვნას (თუ ასეთი არსებობს), რათა მოიპოვოს საწყისი ნაშთებთან, მათ შორის ახსნა-განმარტებებთან დაკავშირებული ინფორმაცია.
6. აუდიტორმა უნდა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, შეიცავს თუ არა საწყისი

ნაშთები ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ მიზნით აუდიტორმა უნდა: (იხ. პუნქტები გ1-გ2)

- ა) განსაზღვროს, სწორად არის თუ არა გადმოტანილი მიმდინარე პერიოდში წინა პერიოდის საბოლოო ნაშთები, ან გადაან-გარიშებული, აუცილებლობის შემთხვევაში;
- ბ) განსაზღვროს, ასახავს თუ არა საწყისი ნაშთები სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას; და
- გ) ჩაატაროს ერთი ან მეტი შემდეგი პროცედურა: (იხ. პუნქტები გ3-გ7)
  - (i) თუ ჩატარებული იყო წინა წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, განიხილოს წინამორბედი აუდიტორის სამუშაო დოკუმენტები, საწყისი ნაშთების შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად;
  - (ii) შეაფასოს, მიმდინარე პერიოდში შესრულებული აუდიტორული პროცედურები უზრუნველყოფს თუ არა რე-ლევანტურ მტკიცებულებებს საწყისი ნაშთების შესახებ; ან
  - (iii) ჩაატაროს სპეციალური აუდიტორული პროცედურები საწყისი ნაშთების შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

7. თუ აუდიტორი მოიპოვებს აუდიტორულ მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ საწყისი ნაშთები შეიცვას ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს მოცემული გარემოებების შესაფერისი დამატებითი აუდიტორული პროცედურები, რათა განსაზღვროს გამოვლენილი უზუსტობების გავლენა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე. თუ აუდიტორი დასკვნის, რომ ასეთი უზუსტობები მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაშიც არსებობს, მან აღნიშნული უზუსტობების შესახებ უნდა აცნობოს ხელმძღვანელობის სათანადო დონეს და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ასს 450-ის შესაბამისად.<sup>3</sup>

<sup>3</sup>. ასს 450 - „აუდიტის პროცესში გამოვლენილი უზუსტობების შეფასება“, პუნქტები მე-8 და მე-12.

## სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობა

8. აუდიტორმა უნდა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, უცვლელად გამოიყენება თუ არა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაშიც საწყის ნაშთებში განსახიერებული სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები სათანადოდ არის თუ არ გათვალისწინებული, წარდგენილი და გამუდავნებული განმარტებით შენიშვნებში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

### წინამორბედი აუდიტორის დასკვნაში მოცემული რელუვანტური ინფორმაცია

9. თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული აქვს წინამორბედ აუდიტორს და აუდიტორის დასკვნა შეიცავდა მოდიფიცირებულ მოსაზრებას, აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს მოსაზრების მოდიფიცირების გამომწვევი საკითხის გავლენა, როდესაც შეაფასებს მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს ას 315-ის (გადასინჯული) შესაბამისად.<sup>4</sup>

აუდიტის პროცესში გამოტანილი დასკვნები და აუდიტორის დასკვნის მომზადება

### საწყისი ნაშთები

10. თუ აუდიტორი ვერ შეძლებს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას საწყის ნაშთებთან მიმართებით, მან დასკვნაში უნდა გამოთქვას პირობითი მოსაზრება, ან უარი განაცხადოს მოსაზრების გამოთქმაზე ფინანსური ანგარიშგების შესახებ, საჭიროებისამებრ, ას 705-ის (გადასინჯული) შესაბამისად.<sup>5</sup> (იხ. პუნქტი გ8)
11. თუ აუდიტორი დასკვნის, რომ საწყისი ნაშთები შეიცავს ისეთ უზუსტობას, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე და ამ უზუსტობის გავლენა სათანადოდ არ არის გათვალისწინებული, ან ადეკვატურად წარ-

4. ას 315 (გადასინჯული) - „არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება სამუშაო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით“.

5. ას 705 (გადასინჯული) - „მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში“.

დგენილი ან გამუღავნებული განმარტებით შენიშვნებში, აუდიტორმა დასკვნაში უნდა გამოთქვას პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება, საჭიროებისამებრ, ასს 705-ის შესაბამისად.

### სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობა

#### 12. თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ:

- ა) მიმდინარე პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკა საწყის ნაშთებთან მიმართებით უცვლელად არ არის გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად; ან
- ბ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები სათანადო არ არის გათვალისწინებული, ან ადეკვატურად არ არის წარდგენილი ან გამუღავნებული განმარტებით შენიშვნებში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად,

მან დასკვნაში უნდა გამოთქვას პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება, საჭიროებისამებრ, ასს 705-ის (გადასინჯული) შესაბამისად.

### მოდიფიცირებული მოსაზრება წინამორბედი აუდიტორის დასკვნაში

#### 13. თუ წინამორბედი აუდიტორის მოსაზრება წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოდიფიცირებული იყო და ეს მოსაზრება ისევ შესაფერისი და არსებითია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისთვისაც, აუდიტორმა მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შედგენილ დასკვნაშიც უნდა გამოთქვას მოდიფიცირებული მოსაზრება, ასს 705-ისა (გადასინჯული) და ასს 710-ის შესაბამისად. (იხ. პუნქტი გ9)

\* \* \*

## გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა

### აუდიტორული პროცედურები

სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტებთან დაკავშირებული  
მოსაზრებები (იხ. მე-6 პუნქტი)

- გ1. სახელმწიფო სექტორში შეიძლება არსებობდეს საკანონმდებლო ან მარეგულირებელი შეზღუდვები იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის მოპოვებაც ამჟამინდელ აუდიტორს შეუძლია წინამორბედი აუდიტორისაგან. მაგალითად, თუ სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტი, რომლის აუდიტი ადრე კანონ-მდებლობით დანიშნულმა აუდიტორმა ჩაატარა (მაგალითად, გენერალურმა აუდიტორმა, ან სხვა შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პიროვნებამ გენერალური აუდიტორის სახელით), პრი-ვატიზებულია, ინფორმაციის კონფიდენციალობის, ან გასაიდუმლოების კანონებით ან სხვა ნორმატიული აქტებით შეიძლება შეზღუდული იყოს იმ სამუშაო დოკუმენტების ან სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომლის გადაცემაც შეუძლია კანონმდებლობით დანიშნულ აუდიტორს ახლად დანიშნული აუდიტორისათვის, რომელიც კერძო სექტორში მოღვაწეობს. თუ ინფორმაციის ამგვარი გაცვლა შეზღუდულია, შესაძლოა აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება აუცილებელი გახდეს სხვა საშუალებით. თუ აუდიტორი ვერ შეძლებს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, აუდიტორი განიხილავს, რა გავლენას იქონიებს ეს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- გ2. თუ კანონმდებლობით დანიშნული აუდიტორი სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტის აუდიტის ჩატარების ფუნქციას გადასცემს კერძო სექტორის აუდიტურ ფირმას, რომელსაც არ ჩაუტარებია სახელმწიფო სექტორის სამეურნეო სუბიექტის წინაპერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, როგორც წესი, ეს არ მიიჩნევა აუდიტორების შეცვლად, კანონმდებლობით დანიშნული აუდიტორის პოზიციიდან. თუმცა, ფუნქციის გადაცემის შეთანხმებიდან გამომდინარე, აუდიტორული გარიგება შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველ აუდიტორულ გარიგებად კერძო სექტორის აუდიტორის პოზიციიდან, მათი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით და, მაშასადამე, გამოიყენება წინამდებარე ასს.

საწყისი ნაშთები (იხ. პუნქტი 6 (გ))

- გ3. საწყისი ნაშთებთან დაკავშირებით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად საჭირო აუდიტორული პროცედურების ხასიათი და მოცულობა დამოკიდებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
- სამეცნიერო სუბიექტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა;
  - ანგარიშების ნაშთების, ოპერაციების კატეგორიებისა და ახსნა-განმარტებების ხასიათი და მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკების თავისებურებები;
  - საწყისი ნაშთების მნიშვნელობა მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშებასთან მიმართებით;
  - იყო თუ არა აუდიტირებული წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშება და, თუ აუდიტირებული იყო, მოდიფიცირებულია თუ არა წინამორბედი აუდიტორის მოსაზრება.
- გ4. თუ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშების აუდიტი ჩატარებული აქვს წინამორბედ აუდიტორს, აუდიტორმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება საწყისი ნაშთების შესახებ შეიძლება შეძლოს წინამორბედი აუდიტორის სამუშაო დოკუმენტების განხილვით. ამგვარი მიმოხილვით აუდიტორი მოიპოვებს თუ არა საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს, ამაზე გავლენას ახდენს წინამორბედი აუდიტორის პროფესიული კომპეტენცია და დამოუკიდებლობა.
- გ5. მიმდინარე პერიოდის აუდიტორის კომუნიკაციას წინამორბედ აუდიტორთან არეგულირებს სათანადო ეთიკური და პროფესიული ნორმები.
- გ6. მოკლევადიანი აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი ნაშთების შესახებ ზოგიერთი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელია მიმდინარე პერიოდის აუდიტორული პროცედურების მეშვეობით. მაგალითად, მიმდინარე პერიოდში მოთხოვნების (მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებების) საწყისი ნაშთების ამოღება (გადახდა) უზრუნველყოფს გარკვეულ აუდიტორულ მტკიცებულებებს პერიოდის დასაწყისში მათი არსებობის, უფლებებისა და ვალდებულებების, სისრულისა და შეფასების შესახებ. თუმცა, მარაგის შემთხვევაში, მიმდინარე პერიოდში მარაგის საბოლოო ნაშთთან მიმართებით ჩატარებული

აუდიტორული პროცედურები მცირე აუდიტორულ მტკიცებულებების იძლევა პერიოდის დასაწყისში სახეზე არსებული მარაგის შესახებ. მაშასადამე, შეიძლება აუცილებელი გახდეს დამატებითი აუდიტორული პროცედურების ჩატარება. კერძოდ, აუდიტორმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები შეიძლება მოიპოვოს ერთი ან მეტი შემდეგი პროცედურის ჩატარებით:

- დაკვირვება მიმდინარე პერიოდის მარაგის ინვენტარიზაციაზე და მისი შედეგების შეჯერება საწყისი მარაგის რაოდენობებთან;
- აუდიტორული პროცედურების ჩატარება მარაგის საწყისი ნაშთის ელემენტების შეფასებაზე;
- აუდიტორული პროცედურების ჩატარება საერთო მოგებასა და დროში გამიჯვნის პროცედურების მართებულობაზე.

გ7. გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, როგორიცაა მირითადი საშუალებები, ინვესტიციები და გრძელვადიანი ნასესხები სახსრები, გარკვეული აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შესაძლებელია ბუღალტრული ჩანაწერებისა და სხვა ისეთი ინფორმაციის შემოწმებით, რომელსაც ეყრდნობა საწყისი ნაშთები. ზოგ შემთხვევაში, საწყისი ნაშთების (მაგალითად, გრძელვადიანი ნასესხები სახსრებისა და ინვესტიციების) შესახებ გარკვეული აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტორმა შეიძლება მოიპოვოს მესამე მხარესთან დადასტურების პროცედურით. სხვა შემთხვევაში, აუდიტორს შეიძლება სხვა დამატებითი პროცედურების ჩატარება დასჭირდეს.

#### აუდიტის პროცესში გამოტანილი დასკვნები და აუდიტორის დასკვნის მომზადება

##### საწყისი ნაშთები (იხ. მე-10 პუნქტი)

გ8. ას 705 (გადასინჯული) მოიცავს მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს ისეთი სიტუაციებისთვის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორის მოსაზრების მოდიფიცირება, ასევე განსაზღვრავს კონკრეტული სიტუაციების შესაფერის მოსაზრების ტიპს და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შინაარსს, მოდიფიცირებული მოსაზრების შემთხვევაში. თუ აუდიტორი ვერ შეძლებს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას საწყისი ნაშთების თაობაზე, ამან აუდიტორის დასკვნაში შეიძლება გამოიწვიოს ქვემოთ განხილული ორი ტიპის მოდიფიცირებული მოსაზრებიდან ერთ-ერთი:

- ა) პირობითი მოსაზრება ან უარი მოსაზრების გამოთქმაზე, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით; ან
- ბ) თუ კანონმდებლობით არ იკრძალება, პირობითი მოსაზრება ან უარი მოსაზრების გამოთქმაზე, საჭიროებისამებრ, ოპერაციების შედეგებისა და, ვთქვათ, ფულადი ნაკადების შესახებ, ხოლო ფინანსური მდგომარეობის თაობაზე მოსაზრება არ იყოს მოდიფიცირებული.

აუდიტორების დასკვნების ნიმუშები განხილულია დანართში.

მოდიფიცირებული მოსაზრება წინამორბედი აუდიტორის დასკვნაში (იხ. მე-13 პუნქტი)

- გ9. გარკვეულ სიტუაციებში, წინამორბედი აუდიტორის დასკვნაში მოცემული მოდიფიცირებული მოსაზრება შეიძლება აღარ იყოს არსებითი მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგებისთვის და აღარ მიესადაგებოდეს მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრებას. ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც წინა პერიოდის აუდიტში ადგილი ჰქონდა აუდიტის მასშტაბის შეზღუდვას, მაგრამ საკითხი, რომელმაც აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა გამოიწვია, მიმდინარე პერიოდში გადაიჭრა.

დანართი

(იხ. პუნქტი გ8)

## მოდიფიცირებული მოსაზრების შემცველი აუდიტორების დასკვნების ნიმუშები

შენიშვნა: ამ დანართში განხილულ აუდიტორის დასკვნების საილუსტრაციო ნიმუშებში ნაწილი „მოსაზრება“ განთავსებულია დასკვნის დასაწყისში ას 700-ის (გადასინჯული) შესაბამისად, ხოლო ნაწილი „მოსაზრების საფუძველი“ განთავსებულია „მოსაზრება“ ნაწილის შემდეგ. გარდა ამისა, აუდიტორის პასუხისმგებლობის ნაწილში დღემდე არსებული პირველი და ბოლო წინადადება ახლა გადატანილია ახლანდელ „მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში.

### 1-ლი ნიმუში:

მოცემული საილუსტრაციო დანიშნულების აუდიტორის დასკვნის მიზნებისთვის იგულისხმება შემდეგი გარემოებების არსებობა:

- სამეურნეო სუბიექტის (რომელიც არ არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული) ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის აუდიტი, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის საფუძვლების შესაბამისად. ეს აუდიტი არ არის ჯგუფის აუდიტი (ე.ი. ას 600<sup>1</sup> არ გამოიყენება);
- ფინანსური ანგარიშგება სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (საერთო დანიშნულების საფუძვლები);
- აუდიტორული გარიგების პირობები მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის აღწერას, ას 210-ის შესაბამისად;<sup>2</sup>

1. ას 600 - „სპეციფიკური საკითხები - ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორის სამუშაოს ჩათვლით)“.

2. ას 210 - „აუდიტორული გარიგების პირობებზე შეთანხმება“.

- აუდიტორი არ დაჰკვირვებია მიმდინარე პერიოდის დასაწყისში მარაგის ინვენტარზაციას და ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარაგის საწყის ნაშთთან მიმართებით;
- მარაგის საწყისი ნაშთის შესახებ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების უქონლობის შესაძლო გავლენა სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე არსებითად მიიჩნევა, მაგრამ არა ყოვლისმომცველად;<sup>3</sup>
- საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული ფინანსური მდგომარეობა სამართლიანად არის წარდგენილი;
- მოცემულ კონკრეტულ იურისდიქციაში კანონმდებლობა აუდიტორს უკრძალავს ისეთი მოსაზრების გამოთქმას დასკვნაში, რომელიც მოდიფიცირებულია სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებთან მიმართებით და მოდიფიცირებული არ არის ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებით;
- ამ აუდიტისთვის შესაფერისი ეთიკური ნორმები მოცემული იურისდიქციის ეთიკური ნორმებია;
- აუდიტორმა მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ არ არსებობს მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით - განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმი საწარმომ, ასს 570-ის (გადასინჯული) შესაბამისად;<sup>4</sup>
- აუდიტორს არ ევალება და არც თვითონ გადაწყვიტა აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმირება ასს 701-ის შესაბამისად;<sup>5</sup>

3. თუ აუდიტორის აზრით, შესაძლო გავლენა არსებითად და ყოვლისმომცველად მიიჩნევა სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებთან მიმართებით, აუდიტორმა სამეურნეო სუბიექტის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ მოსაზრების გამოთქმაზე უარი უნდა განაცხადოს დასკვნაში.

4. ასს 570 (გადასინჯული) - „ფუნქციონირებადი საწარმო“.

5. ასს 701 - „მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დაკვნაში“.

- აუდიტორმა ყველანაირი სხვა ინფორმაცია მიიღო აუდიტორის დასკვნის თარიღამდე და სხვა ინფორმაციაში არ აღმოუჩენია არსებითი უზუსტობა;
- შესაბამისი ციფრები წარდგენილია და წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული აქვს წინამორბედ აუდიტორს. აუდიტორს კანონმდებლობით არ ეკრძალება აუდიტორის დასკვნაში წინამორბედი აუდიტორის დასკვნაზე მინიშნება შესაბამის ციფრებთან დაკავშირებით და მან გადაწყვიტა ამის გაკეთება;
- პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების ზედამხედველობასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სხვადასხვა პიროვნებას ეკისრებათ;
- ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გარდა, აუდიტორს ადგილობრივი კანონმდებლობით დამატებით სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობაც ეკისრება.

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ABC კომპანიის აქციონერებს [ან სხვა შესაბამისი ადრესატი]

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე<sup>6</sup>

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ ABC კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი

<sup>6</sup> ქვესათაური „დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ საჭირო არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო არ არის მეორე ქვესათაური „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“.

ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) ABC კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 20X1 წლის 30 ივნისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრჩმუნდით 20X0 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები, საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ABC კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს [იურისდიქცია]–ში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა გარემოებები

ABC კომპანიის 20X0 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 20X1 წლის 31 მარტს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია [ან სხვა სათაური, თუ მიზანშეწონილია, მაგალითად „სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა“]

[ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ასს 720-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესაბამისად - იხ. ასს 720-ის (გადასინჯული) მე-2 დანართის 1-ლი საილუსტრაციო ნიმუში.]

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე<sup>7</sup>**

[ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ასს 700-ის (გადასინჯული)<sup>8</sup> შესაბა- მისად - იხ. ასს 700-ის (გადასინჯული) 1-ლი საილუსტრაციო ნიმუში.]

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

[ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ასს 700-ის (გადასინჯული) შესა- ბამისად - იხ. ასს 700-ის (გადასინჯული) 1-ლი საილუსტრაციო ნიმუში.]

**დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

[ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ასს 700-ის (გადასინჯული) შესა- ბამისად - იხ. ასს 700-ის (გადასინჯული) 1-ლი საილუსტრაციო ნიმუში.]

[ხელმოწერა აუდიტური ფირმის სახელით, პირადად აუდიტორის სახელით, ან ორივეს სახელით, როგორც მიღებულია კონკრეტულ იურისდიქციაში]

**[აუდიტორის მისამართი]**

**[თარიღი]**

- 
7. ამ საილუსტრაციო დანიშნულების აუდიტორის დასკვნებში შეიძლება აუცილებელი იყოს ტერმინების „ხელმძღვანელობა“ და „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები“ შეცვლა სხვა ტერმინებით, რომელიც მიესადაგება კონკრეტული იურისდიქციის საკა- ნონმდებლო ბაზას.
  8. ასს 700 (გადასინჯული) - „მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ“.

## მე-2 ნიმუში:

მოცემული საილუსტრაციო დანიშნულების აუდიტორის დასკვნის მიზნებისთვის იგულისხმება შემდეგი გარემოებების არსებობა:

- სამეურნეო სუბიექტის (რომელიც არ არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული) ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის აუდიტი, რომელიც მომზადებულია სამართლიანი წარდგენის საფუძვლების შესაბამისად. ეს აუდიტი არ არის ჯგუფის აუდიტი (ე.ი. ას 600 არ გამოიყენება);
- ფინანსური ანგარიშგება სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (საერთო დანიშნულების საფუძვლები);
- აუდიტორული გარიგების პირობები მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის აღწერას, ას 210-ის შესაბამისად;
- აუდიტორი არ დაპკვირვებია მიმდინარე პერიოდის დასაწყისში მარაგის ინვენტარიზაციას და ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მარაგის საწყის ნაშთთან მიმართებით;
- მარაგის საწყისი ნაშთის შესახებ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების უქონლობის შესაძლო გავლენა სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე არსებითად მიიჩნევა, მაგრამ არა ყოვლისმომცველად;<sup>9</sup>
- საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული ფინანსური მდგომარეობა სამართლიანად არის წარდგენილი;
- მოსაზრება, რომელიც მოდიფიცირებულია სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებთან მიმართებით და მოდიფიცირებული არ არის ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებით მისაღებად მიიჩნევა მოცემულ გარემოებებში;
- ამ აუდიტისთვის შესაფერისი ეთიკური ნორმები მოცემული იურისდიქციის ეთიკური ნორმებია;
- აუდიტორმა მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ არ არსებობს მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით, ას 570-ის (გადასინჯული) შესაბამისად;

9. თუ აუდიტორის აზრით, შესაძლო შედეგები არსებითად და ყოვლისმომცველად მიიჩნევა სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ შედეგებთან და ფულად ნაკადებთან მიმართებით, აუდიტორმა სამეურნეო სუბიექტის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ მოსაზრების გამოთქმაზე უარი უნდა განაცხადოს დასკვნაში.

- აუდიტორს არ ევალება და არც თვითონ გადაწყვიტა აუდიტის ძირითადი საკითხების შესახებ ინფორმირება ასს 701-ის შესაბამისად;
- აუდიტორმა ყველანაირი სხვა ინფორმაცია მიიღო აუდიტორის დასკვნის თარიღამდე და სხვა ინფორმაციაში არ აღმოუჩენია არსებითი უზუსტობა;
- შესაბამისი ციფრები წარდგენილია და წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული აქვს წინამორბედ აუდიტორს. აუდიტორს კანონმდებლობით არ ეკრძალება აუდიტორის დასკვნაში წინამორბედი აუდიტორის დასკვნაზე მინიშნება შესაბამის ციფრებთან დაკავშირებით და მან გადაწყვიტა ამის გაკეთება;
- პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების ზედამხედველობასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სხვადასხვა პიროვნებას ეკისრებათ;
- ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გარდა, აუდიტორს ადგილობრივი კანონმდებლობით დამატებით სხვა საანგარიშგებო პასუხისმგებლობაც ეკისრება.

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ABC კომპანიის აქციონერებს [ან სხვა შესაბამისი ადრესატი]

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე<sup>10</sup>

მოსაზრებები

ჩავატარეთ ABC კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

10. ქვესათაური „დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ საჭირო არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო არ არის მეორე ქვესათაური „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე“.

## პირობითი მოსაზრება ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) ABC კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### მოსაზრება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) ABC კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 20X1 წლის 31 დეკემბრისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი, მათ შორის პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ

ჩვენ აუდიტორებად დაგნოსტინების 20X1 წლის 30 ივნისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 20X0 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები, საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ABC კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს [იურისდიქცია]-ში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად იმისათვის, რომ გამოვთქვათ

არამოდიფიცირებული მოსაზრება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და პირობითი აუდიტორული მოსაზრება - ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებთან მიმართებით.

### სხვა გარემოებები

ABC კომპანიის 20X0 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 20X1 წლის 31 მარტს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია [ან სხვა სათაური, თუ მიზანშეწონილია, მაგალითად „სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა“]

[ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ასს 720-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესაბამისად - იხ. ასს 720-ის (გადასინჯული) მე-2 დანართის 1-ლი საილუსტრაციო ნიმუში.]

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე<sup>11</sup>

[ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ასს 700-ის (გადასინჯული) შესაბამისად - იხ. ასს 700-ის (გადასინჯული) 1-ლი საილუსტრაციო ნიმუში.]

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

[ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ასს 700-ის (გადასინჯული) შესაბამისად - იხ. ასს 700-ის (გადასინჯული) 1-ლი საილუსტრაციო ნიმუში.]

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

[ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება ასს 700-ის (გადასინჯული) შესაბამისად - იხ. ასს 700-ის (გადასინჯული) 1-ლი საილუსტრაციო ნიმუში.]

[ხელმოწერა აუდიტური ფირმის სახელით, პირადად აუდიტორის სახელით, ან ორივეს სახელით, როგორც მიღებულია კონკრეტულ იურისდიქციაში]

[აუდიტორის მისამართი]

[თარიღი]

<sup>11.</sup> ან სხვა ტერმინები, რომელიც მიესადაგება კონკრეტული იურისდიქციის საკანონმდებლო ბაზას.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია® იგივე IFAC® ხელს უწყობს IAASB-ს ორგანიზაციული სტრუქტურისა და იმ პროცესების განხორციელების მხარდაჭერას, რომელსაც ეფუძნება IAASB-ს საქმიანობა.

IAASB და IFAC პასუხს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე მოქმედების ან თავის შეკავების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

International Standards on Auditing (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Assurance Engagements (მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Review Engagements (მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Related Services (აუდიტან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Quality Control (ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს), International Auditing Practice Notes (აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის შენიშვნებს), განსახილველ პროცეტებს, საკონსულტაციო დოკუმენტებსა და IAASB-ს სხვა პუბლიკაციებს გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

საავტორო უფლება © 2016 წლის დეკემბერი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია. პირადი ან არაკომერციული სარგებლობისთვის (ე.ო. პროფესიული ან კვლევის მიზნებისთვის) შესაძლებელია ამ სახელმძღვანელოს ორიგინალური ვერსიის უფასოდ გადმოწერა, ან ყიდვა International Auditing and Assurance Standards Board® (IAASB®) ვებგვერდის მეშვეობით: [www.iaasb.org](http://www.iaasb.org). ამ დოკუმენტის თარგმნის, გამრავლების, შენახვის, გადაცემის ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენებისთვის აუცილებელია IFAC-ის წერილობითი ნებართვა.

The ‘International Auditing and Assurance Standards Board’, ‘International Standards on Auditing’, ‘International Standards on Assurance Engagements’, ‘International Standards on Review Engagements’, ‘International Standards on Related Services’, ‘International Standards on Quality Control’, ‘International Auditing Practice Notes’, ‘IAASB’, ‘ISA’, ‘ISAE’, ‘ISRE’, ‘ISRS’, ‘ISQC’, ‘IAPN’ და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია ამშ-სა და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ [permissions@ifac.org](mailto:permissions@ifac.org).



529 Fifth Avenue, New York, NY 10017

T +1 (212) 286-9344 F +1 (212) 286-9570

[www.iaasb.org](http://www.iaasb.org)

ISBN: 978-1-60815-318-3